სებასტიის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი: „მოვითხოვთ, დაუყონებლივ შეწყდეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნა“



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 17.08.2024. იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქმა, სებასტიის მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ 2024 წლის 16 აგვისტოს განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია: „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულისწინა მარხვაში ჩვენ მხურვალე ლოცვებს აღვავლენთ ღაზაში ომის დასრულებისა და ჭეშმარიტი მშვიდობის დამყარებისთვის მთელს მსოფლიოში. ჩვენ ასევე ვლოცულობთ უკრაინისთვის, მისი ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის. ჩვენ ძალიან დამწუხრებულნი ვართ იმის გამო, რომ არ წყდება უპრეცედენტო დევნა უკრაინაში კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, რომელსაც უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრე მეთაურობს. კიევის ხელისუფლება ეკლესიას ისე დევნის, თითქოს მისი მიზანი ამ უძველესი, ისტორიით მდიდარი ეკლესიის სრული განადგურება იყოს, რომელსაც დასაბამი უკრაინაში ქრისტიანობის

ჩასახვასთან ერთად დაედო.

უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ამ საშინელი ქმედებების თანამზრახველები და შეთქმულები არიან დასავლური პოლიტიკური ძალები, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რომ გაანადგურონ, დაასრულონ მისი არსებობა და მოუძებნონ მას ალტერნატივა. დიდად სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს ხდება ცნობილ ეკლესიურ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში.

სამწუხარო და დასანანია, რომ ამ დევნას თან ახლავს ტაძრების ნგრევა და ძარცვა, შემოწირულობების მითვისება, ეპისკოპოსებისა და მღვდლების დაპატიმრება, მათი და იმ მორწმუნეების დევნა, რომლებსაც არ სურთ ეკლესიური კუთვნილობის შეცვლა. სამწუხაროდ, დღეს ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ ხდება და მთელი მსოფლიო უყურებს, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებს.

სად არის ამ მძიმე დევნილობის ჟამს ყველა ქრისტიანული ეკლესია, და რატომ ვხედავთ ჩუმ გულგრილობას ამ უსამართლო ქმედებების წინაშე?

სად არის მსოფლიოს უფლებადამცველი ორგანიზაციები და ინსტიტუციები? ვინც აცხადებს, რომ ზრუნავს დემოკრატიაზე, ადამიანის თავისუფლებასა და უფლებების დაცვაზე, და ცხოველთა უფლებების დაცვაზეც კი, მაგრამ უგულებელყოფს და თვალს ხუჭავს ამ უსამართლო ქმედებებზე და სასტიკ დევნაზე ძველი მართლმადიდებელი ეკლესიის დევნაზე, რომელიც არის უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესია.

გვინდა შევახსენოთ მსოფლიოს ყველა ქრისტიანულ ეკლესიას, განსაკუთრებით მართლმადიდებელ ეკლესიებს, მათი სულიერი, რელიგიური, ეკლესიური და მორალური მოვალეობა: დაგმონ და შეეწინააღმდეგონ ამ დევნას და მოითხოვონ მისი დაუყოვნებლივი შეწყვეტა. ჩვენ მოვითხოვთ სწრაფ და კონკრეტულ ქმედებებს უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ დევნის შეწყვეტის მიმართულებით.

როგორც წმინდა მოციქული პავლე ამბობს, თუ ერთ ასოს ევნო რაიმე, მასთან ერთად ყველა სხვა ასოც ივნება (1 კორ. 12:26); და დღეს, როდესაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია არის ჯვარცმული, ტანჯული და დევნილი ეკლესია, თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა მხარი დავუჭიროთ და დავიცვათ ის იქამდე, ვიდრე არ შეწყდება მასთან მიმართებით ეს სისტემატური და უსამართლო ქმედებები.

მიძინების მარხვის პერიოდში ჩვენ მხურვალედ ვლოცულობთ გეთსიმანიის ტაძარში ზეციური დედოფლის ცარიელი საფლავის წინ; ვითხოვთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობას, ლოცვასა და კურთხევას უკრაინაში დევნილი წამებული-ეკლესიის დასაცავად, რათა უფალმა ღმერთმა ამ ბოროტმოქმედების ყველა მონაწილეს სინდისი გაუნათლოს და მიღებულ იქნას ზომები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ უსამართლო და საშინელი დევნის შესაჩერებლად“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92069/